21.08.2023

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2023 წლის ივლისი

იმპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 0.05 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 8.9 პროცენტიანი კლება.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ფასები 9.3 პროცენტით შემცირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების 10.4 პროცენტიანი კლება ფიქსირდება, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე - ფასების 38.2 პროცენტიანი ზრდა. რაც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 15.7 პროცენტიანი მატება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის ივლისში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის ივლისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**91.1**	**-8.93**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**90.7**	**-0.97**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**89.6**	**-9.23**
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	65.0	-3.80
26	კომპიუტერები, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქცია	77.1	-1.27
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**138.2**	**1.24**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**115.7**	**0.02**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge